ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

თ. რ. ადვოკატ ხ. ვ.-ის წინააღმდეგ

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: მარინა კვაჭაძე

კომისიის წევრი: კახაბერ წერეთელი

კომისიის წევრი: ცირა შუბითიძე

კომისიის წევრი: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი

კომისიის წევრი: ემზარ პაქსაძე

კომისიის წევრი: გიგა კვერენჩხილაძე

კომისიის წევრი: ლავრენტი ქავთარაძე

კომისიის წევრი: კობა ბოჭორიშვილი

კომისიის წევრი: ზურაბ ძლიერიშვილი

საჩივრის ავტორი: თ. რ.

წარმომადგენელი: თ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.12.2011

საჩივრის რეგისტრაციის #112/11

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ხ. ვ.-ის მიმართ სიითი #

წარმომადგენელი: მ. გ.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ხ. ვ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია

1.1 2011 წლის 26 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. რ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ხ. ვ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, დ. რ. დააკავეს 2011 წლის 18 ოქტომბერს ზ. ტ.-ის 2011 წლის 17 ოქტომბერის განზრახ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით.

1.3 2011 წლის 18 ოქტომბერს, საჩივრის ავტორმა მისი შვილის დაკავების მომენტიდან საადვოკატო მომსახურებისათვის მიმართა ადვოკატებს - თ. მ.-სა და ლ. კ.-ს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2011 წლის 18 ოქტომბერს საღამოს 8 საათიდან 19 ოქტომბრის დილის 9 საათამდე პოლიციის მთავარ სამმართველოში ადვოკატ თ. მ.-ს ბრალდების მხარემ არ მისცა შესაძლებლობა შეხვედროდა დასაცავ პირს.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით ბრალდების მხარემ ადვოკატის გარეშე დაკითხა დ. რ., ხოლო 2011 წლის 19 ოქტომბერს დილის 7 საათზე დ. რ. საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად გადაიყვანეს რუსთაველის გამზირზე, რა დროსაც მასთან მის მიერ დაქირავებული ადვოკატები არ იმყოფებოდნენ.

1.6 საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო მისთვის უცნობმა პიროვნებამ - ადვოკატმა ხ. ვ.-მ. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას არ მიუმართავს ხ. ვ.-ისათვის მისი შვილის ინტერესების დასაცავად. საჩივრის ავტორის განცხადებით ადვოკატი ხ. ვ. პროკურატურამ გამოიძახა საგამოძიებო მოქმედების დასასწრებად.

1.7 2012 წლის 10 იანვარს საჩივრის ავტორმა წარმოადგინა შვილის - დ. რ.-ის განცხადება, რომლის მიხედვით 2011 წლის 18 ოქტომბერს თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს წარმომადგენლებმა დააკავეს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

1.8 დ. რ.-ის ახსნა-განმარტებით, მას თავდაპირველად, გამოძიების ეტაპზე უარი განუცხადეს ადვოკატის ყოლის უფლებაზე და განუმარტეს, რომ თუ საჭირო გახდებოდა, მისცემდნენ ადვოკატთან შეხვედრის უფლებას. დ. რ. აღნიშნავს, რომ როგორც შემდეგში მისთვის გახდა ცნობილი, მისი ადვოკატი თ. მ. სამმართველოს შენობასთან ელოდებოდა, საშვთა ბიუროში.

1.9 დ. რ.-ის განცხადებით, იგი 2011 წლის 18 ოქტომბერს საღამოს 8 საათიდან ღამის 3 საათამდე იმყოფებოდა გამოძიების მიერ მძიმე სტრესულ მდგომარეობაში, მასზე ზემოქმედებას ახორციელებდა 5-6 გამომძიებელი, რათა ეღიარებინა დანაშაული,, რომ თითქოს 2011 წლის 17 ოქტომბერს ზ. ტ.-ის მკვლელობა მან ჩაიდინა. დ. რ.-ის განმარტებით, უარს აცხადებდა ცრუ ჩვენების მიცემაზე, თუმცა, ვეღარ გაუძლო ხანგრძლივ ზემოქმედებას და დათანხმდა ეღიარებინა დანაშაული. დ. რ.-ის განცხადებით, მთელი ღამის განმავლობაში ამეორებინებდნენ, თუ რა უნდა ეთქვა ზ. ტ.-ის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, რაც შეეხება ადვოკატს, ის დ. რ.-სთვის არ წარმოუდგენიათ მიუხედავად მისი არაერთი თხოვნისა.

1.10 დ. რ.-ის განცხადებით, მას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროსაც არ ჰყავდა ადვოკატი., დ. რ.-ის მითითებით, მისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო ადვოკატმა ხ. ვ.-მ. დ. რ.-ის განმარტებით, შემთხვევის ადგილზე მისვლისას, მან შორიდან დაინახა ვიღაც ქალბატონი, რომლის ამოცნობაც არ შეუძლია, რადგან ქალბატონი მას არ გასაუბრებია.

1.11 დ. რ. განმარტავს, რომ შემთხვევის ადგილზე მისვლისას, ბრალდებული გამომძიებლის კითხვებზე პასუხს ვერ სცემდა, ბრალდების მხარე თავად უთითებდა იარაღის დაგდების ადგილს, დ. რ.-ის განმარტებით ასეთ დროს ადვოკატი არ იმყოფებოდა მასთან მისი ინტერესების დასაცავად.

1.12 განმცხადებელი აღნიშნავს, რომ თავის ადვოკატს თ. მ.-ს პირველად შეხვდა 2011 წლის 19 ოქტომბერს, დილის 11 საათზე.

1.13 საჩივრის ავტორმა თ. რ.-მ 2012 წლის 18 იანვრის დამატებითი ახსნა-განმარტებით დაადასტურა საჩივარში მოყვანილი გარემოებები და განმარტა, რომ ადვოკატი თ. მ. რამდენჯერმე, 2011 წლის 18 ოქტომბრის საღამოს 8 საათიდან 19 ოქტომბრის დილის 9 საათამდე დაუკავშირდა გამომძიებელს ტელეფონის საშუალებით. თ. მ.-მ განუმარტა გამომძიებელს, რომ დ. რ.-ის ადვოკატი იყო და წარადგენდა ორდერს, თუმცა, არ მიეცა შესაძლებლობა გასაუბრებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს.

1.14 საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატი ხ. ვ. არ წარმოადგენს დ. რ.-ის ინტერესების დამცველს, ადვოკატი არც საჩივრის ავტორს და არც მის შვილს არ დაუქირავებია საადვოკატო მომსახურებისათვის.

1.15 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი შვილი თავს უდანაშაულოდ ცნობს, ხოლო ადვოკატს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობისას რაიმე სახის შენიშვნა არ გაუკეთებია ოქმზე, რითაც მოხდებოდა მისი შვილის კანონიერი ინტერესების დაცვა.

1.16 2012 წლის 21 მაისის ეთიკის კომისიის სხდომაზე, საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა, თ. მ.-მ ადვოკატ ხ. ვ.-ის მიმართ შემდეგი პრეტენზიები გამოხატა: ადვოკატი ისე ჩაერთო საქმეში, რომ ამის თაობაზე არ შეუთანხმებია არც ბრალდებულთან და არც მისი ოჯახის წევრებთან. ადვოკატმა კლიენტთან შეუთანხმებლად მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებაში, რომლის დროსაც შედგა უკანონო ოქმი და ადვოკატმა ხელი მოაწერა მას. ადვოკატმა არ დაიცვა დ. რ.-ის ინტერესები, არ გასაუბრებია მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს ცალკე, ადვოკატი პროკურატურის ინიციატივით ჩაერთო საქმეში და მისთვის უცნობი იყო ბრალდებული - დ. რ.-ის პოზიცია სისხლის სამართლის საქმეზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატის მიერ 2011 წლის 18 იანვარს წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით, მას პირად მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდნენ საქმის მწარმოებელი ორგანოდან, საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე ერთი საათით ადრე და სთხოვეს მონაწილეობის მიღება შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში.

2.2 ადვოკატი დათანხმდა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობას და დაახლოებით დილის 7 საათზე მივიდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მისვლისას, დაკავებულ დ. რ.-ს მან უთხრა, რომ მისი ადვოკატი იყო და მონაწილეობას მიიღებდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში;

2.4 ადვოკატის განმარტებით, მას ბრალდებულთან სხვა საკითხებზე გასაუბრების საშუალება არ მიეცა შემთხვევის ადგილზე, ასევე, იგი არ იცნობდა სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რადგან საქმის გაცნობის დრო და საშუალება არ გააჩნდა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, დაკავებულ პირს, დ. რ.-ს ფიზიკური ზემოქმედების კვალი არ აღენიშნებოდა, საგამოძიებო მოქმედების დროს დ. რ.-ის მიმართ ფიზიკურ და ფსიქიკურ ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონდა

2.6 ადვოკატის განმარტებით დ. რ.-ის ოჯახის წევრებთან არ ჰქონდა კომუნიკაცია; მან შემთხვევის ადგილას მოიკითხა ოჯახის წევრები, თუმცა, ისინი არ ესწრებოდნენ საგამოძიებო მოქმედებას.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მისთვის უცნობი იყო, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დ. რ.-ის ინტერესებს იცავდა ადვოკატი თ. მ..

2.8 2012 წლის 21 მაისის ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატ ხ. ვ.-ის წარმომადგენელმა მ. გ.-მ განმარტა, რომ ხ. ვ. შეყვანილი იქნა შეცდომაში. ხ. ვ.-ს ჯერ ღამის 2 საათზე დაურეკა ბრალდების მხარემ და სთხოვა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა.იმის გამო, რომ ბრალდებულ დ. რ.-ს არ ჰყავდა ადვოკატი და სახაზინო ადვოკატი ვერ მოჰყავდა ბრალდებას, მათ დახმარებისთვის მიმართეს ადვოკატ ხ. ვ.-ს. წარმომადგენლის განმარტებით, გვიან ღამით არ წავიდა ხ. ვ.. დილის 6 საათზე ისევ დაურეკა ბრალდების მხარემ, რადგან ვერ იშოვეს სხვა ადვოკატი და ისევ სთხოვეს ხ. ვ.-ს დახმარება. ადვოკატი ხ. ვ. მივიდა შემთხვევის ადგილას და, ბრალდების მხარის თხოვნით, მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო მოქმედებაში.

2.9 წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატმა ხ. ვ.-მ იცოდა, რომ დ. რ.-ს არ ჰყავდა დაცვა შეთანხმებით და ამიტომაც წავიდა და მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო მოქმედებაში, შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, თუმცა ხ. ვ. შეცდომაში იქნა შეყვანილი.

2.10 წარმომადგენლის განმარტებით, ხ. ვ. გულწრფელად განიცდის; მან არ იცოდა, რომ ასეთი შედეგი დადგებოდა საქმეზე.

2.11 მ. გ.-ის განმარტებით, ხ. ვ.-ს სურვილი არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო საგამოძიებო მოქმედებაში და არც შემდგომი წარმომადგენლობის გაგრძელების სურვილი გააჩნდა. ადვოკატ ხ. ვ.-ს არ უცნობებია დ. რ.-ისთვის, რომ მისი ინტერესების დაცვას აღარ გააგრძელებდა, ისე ჩამოსცილდა სისხლის სამართლის საქმეს.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ 2012 წლის 26 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ხ. ვ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ხ. ვ.-ის მიერ დ. რ.-სთან ან მისი ოჯახის წევრებთან საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე შეუთანხმებლობის დადასტურების შემთხვევაში, ადგილი ექნება „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე–8 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვალდებულების დარღვევას, რომლის მიხედვით დაცვის უფლება უნდა განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული წესით.

3.3 ბრალდებულ დ. რ.-ის ან მისი ოჯახის წევრთა მიერ ხ. ვ.-ის, როგორც წინასწარი გამოძიების ეტაპზე ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის არ დაქირავების დადასტურების შემთხვევაში, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ნდობის პრინციპის დარღვევას.

3.4 სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის გარეშე, კლიენტთან დაცვის პოზიციისა და ტაქტიკის შეუთანხმებლად, ადვოკატის მიერ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილებისა და ბრალდებულის ინტერესების დაცვის განახორციელების დადასტურების შემთხვევაში, ადგილი ექნება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი ვალდებულების დარღვევას.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

ეთიკის კომისიის პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ იხელმძღვანელა “ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების 36-ე მუხლით და 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. **ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:**

5.1.1. ადვოკატმა ხ. ვ.-მ, 2011 წლის 19 ოქტომბერს დ. რ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო ექსპერიმენტში

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2011 წლის 19 ოქტომბრის ორდერი
2. 2011 წლის 19 ოქტომბრის საგამოძიებო მოქმედების ოქმი

3. თ. რ.-ის 2011 წლის 26 დეკემბრის განცხადება, საქმის ფურცელი 1-2
4. ადვოკატ ხ. ვ.-ის 2012 წლის 18 იანვრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 31
5. დ. რ.-ის 2012 წლის 10 იანვრის განცხადება, საქმის ფურცელი 20

5.1.2. ადვოკატ ხ. ვ.-ს დ. რ.-სთან ან/და მისი ოჯახის წევრებთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ გაუფორმებია და ბრალდების მხარის თხოვნით მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო ექსპერიმენტში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. თ. რ.-ის 2011 წლის 26 დეკემბრის განცხადება, საქმის ფურცელი 1-2
2. დ. რ.-ის 2012 წლის 10 იანვრის განცხადება, საქმის ფურცელი 19, 20
3. თ. რ.-ის 2012 წლის 18 იანვრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 24, 25
4. ადვოკატ ხ. ვ.-ის 2012 წლის 18 იანვრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 31

5.1.3. ადვოკატი ხ. ვ. არ იცნობდა დ. რ.-ის სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. თ. რ.-ის 2011 წლის 26 დეკემბრის განცხადება, საქმის ფურცელი 1-2
2. დ. რ.-ის 2012 წლის 10 იანვრის განცხადება, საქმის ფურცელი 20
3. თ. რ.-ის 2012 წლის 18 იანვრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 25
4. ადვოკატ ხ. ვ.-ის 2012 წლის 18 იანვრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 31

5.1.4. ადვოკატ ხ. ვ.-ს არ შეუთანხმებია ბრალდებულთან დაცვის პოზიცია და ტაქტიკა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

5. თ. რ.-ის 2011 წლის 26 დეკემბრის განცხადება, საქმის ფურცელი 1-2
6. დ. რ.-ის 2012 წლის 10 იანვრის განცხადება, საქმის ფურცელი 20
7. თ. რ.-ის 2012 წლის 18 იანვრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 25
8. ადვოკატ ხ. ვ.-ის 2012 წლის 18 იანვრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 31

6. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ხ. ვ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1. ადვოკატ ხ. ვ.-ის მიერ დარღვეული იქნა შემდეგი ნორმები:

ა)ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვით, „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.“

ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის, რომლის მიხედვით, „ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს“.

გ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა”.

7.2. დამცველის ყოლის უფლება სისხლის სამართლის საქმეზე ადამიანის ძირითადი უფლებაა და მისი განხორციელებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი უფლებები და მოვალეობები. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით დაცვის უფლება გარანტირებულია, ხოლო კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით “დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს”.

7.3. დაცვის უფლებაზე ხელმისაწვდომობა ნიშნავს პირის შესაძლებლობას, დაიცვას თავი მის მიერ არჩეული დამცველის საშუალებით, ანუ დაცვის უფლების განმარტებაში დომინირებს პირის სურვილის უზენაესობა - ჰყავდეს ის დამცველი, რომელიც მისი არჩეულია და რომელსაც ენდობა.

7.4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, დაცვის უფლების განხორციელების თაობაზე მიიჩნია, რომ „საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულია დაცვის და დასაცავი

პირის უფლება, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს დასაცავი პირის სურვილიდან. ამდენად, საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს დაცვის უფლების ისეთ პირობებს, როდესაც უპირატესობა ენიჭება დასაცავი პირის სურვილსა და უნარს, ჰყავდეს დამცველი ან პირის სურვილს, მაგრამ უუნარობას იყოლიოს დამცველი".

7.5. სისხლის სამართლის საქმეზე დამცველის აყვანის შესაძლებლობას ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის 41-ე მუხლის მიხედვით ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული, ან ბრალდებულის ნების გათვალისწინებით - მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი.

7.6. აღსანიშნავია, რომ დასაცავი პირი, მისი ნების გათვალისწინებით ირჩევს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს მისი უფლებების დაცვას სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატსა და კლიენტს შორის ნდობის პრინციპის არსებობა, ასევე ხელს უწყობს კომუნიკაციის ეფექტურად განხორციელებას. კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტი ადვოკატს უმხელს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რასაც ადვოკატი კლიენტის თანხმობით იყენებს სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების დასაცავად. გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა სისხლის სამართლის საქმის მასალებში დაცვის მხარის სასარგებლო ინფორმაცია და საყურადღებო დეტალი არ იყოს ცნობილი და ხშირ შემთხვევაში ადვოკატი კლიენტისაგან მოიპოვებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციას, შესაბამისად კლიენტის სრული ნდობა ადვოკატისადმი და განდობილი კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას სათანადოდ განახორციელოს კლიენტის ინტერესების დაცვა.

7.7. ადვოკატ ხ. ვ.-სა და დ. რ.-ს შორის ურთიერთობის დასაწყისიდანვე არ წარმოშობილა ნდობა, რადგან ადვოკატი არც ბრალდებულ დ. რ.-ს, არც მისი ოჯახის წევრებს არ მოუწვევიათ დ. რ.-ის ინტერესების დასაცავად, ასევე დ. რ. არ საჭიროებდა სავალდებულო დაცვას სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატმა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო იმ პირობებში, რომ ოჯახთან ან ბრალდებულთან კომუნიკაცია არ ჰქონდა.

7.8. ადვოკატი ხ. ვ. სისხლის სამართლის საქმეზე არაუფლებამოსილი პირის დავალებით ჩაერთო, ადვოკატმა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა ბრალდების მხარის თხოვნით და ინიციატივით მიიღო. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის მიხედვით, გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. კომისია გამარტავს, რომ ადვოკატს არ უნდა ემოქმედა 41-ე მუხლის საწინააღმდეგოდ და ბრალდების მხარის თხოვნით არ უნდა გამოცხადებულიყო საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობისათვის.

7.9. აღსანიშნავია, რომ ადვოკატი საქმეში ჩაერთო ბრალდების მხარის მოწვევით, რითაც ამ უკანასკნელმა ზეგავლენა მოახდინა ადვოკატის დამოუკიდებლობაზე.

ადვოკატი ხ. ვ. საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებელი არ იყო, რაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების - დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევას წარმოადგენს. ადვოკატი საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად ბრალდების მხარის თხოვნით მივიდა და არა პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის - კლიენტის ინტერესების დასაცავად. ხ. ვ.-ის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ თავად ადვოკატის სურვილს არ წარმოადგენდა, დაეცვა დ რ.-ის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატის მხრიდანაც არ იყო გამოხატული ნება, დაეცვა დ. რ.-ის ინტერესები და ადვოკატი ბრალდების მხარის თხოვნით მოქმედებდა.

7.10. ადვოკატის განმარტება, რომ შემთხვევის ადგილზე მისვლისას აცნობა დ. რ.-ს, რომ მისი ადვოკატი იყო და მონაწილეობას მიიღებდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს დაცვის განხორციელების თაობაზე კლიენტთან შეთანხმებად. ადვოკატმა აღნიშნული ინფორმაცია კლიენტს მიაწოდა მას შემდეგ, რაც უკვე ჩაერთო საქმეზე ბრალდების მხარის თხოვნით, ადვოკატმა კლიენტის ნებართვის გარეშე გამოწერა ორდერი სისხლის სამართლის საქმეზე. შესაბამისად, ადვოკატის მიერ უფლებამოსილების მიღებაზე ინფორმაციის მიწოდება კლიენტისათვის დაგვიანებული იყო. გასათვალისწინებელია, რომ პირი დაკავებისას ხშირად იმყოფება მძიმე სტრესულ მდგომარეობაში და ასეთ დროს კლიენტთან გასაუბრების უფლება და შესაძლებლობა აქვს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს კლიენტი მისი უფლებების დაცვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, ადვოკატი კლიენტის ნებით არ ჩაერთო სისხლის სამართლის საქმეზე.

7.11. აქედან გამომდინარე, კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვალდებულება - კლიენტის ან მისი ოჯახის წევრების ნებართვით და მათთან შეთანხმებული წესით დაეწყო დ. რ.-ის ინტერესების დაცვა და მონაწილეობა მიეღო საგამოძებო მოქმედებაში.

7.12. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე "არტიკო იტა-ლიის წინააღმდეგ "(1980 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება, 33-ე პუნქტი) დაადგინა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტის დარღვევა, დაცვის უფლების არასათანადო განხორციელებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ „კონვენცია მოწოდებულია უზრუნველყოს არა თეორიული ან ილუზორული უფლებები, არამედ მათი პრაქტიკული და ეფექტური განხორციელება. ეს განსაკუ-თრებით სამართლიანია დაცვის უფლებასთან მიმართებით, რომელსაც განსაკუ-თრებული ადგილი უკავია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ისევე, როგორც თავად უფლებას სამართლიან სასამართლოზე, რომლიდანაც ის გამომდინარეობს".

7.13. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას უნდა განახორციელონ დაცვის უფლება კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, რაც კლიენტის ჩართულობას გულისხმობს მისი საქმის გადაწყვეტაში. ეთიკის კომისიის 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით, საქმეზე # 057/10 კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული შესაძლებლობა კლიენტის უფლებების სათანადოდ დაცვისათვის, რაც კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობისას სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტისაგან ინფორმაციის მიღებით, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებით და შემდგომი ქმედებების განხორციელების თაობაზე უფლებამოსილების მიღებით გამოხატება, ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნას მოწონებული კლიენტის მიერ“.

7.14. სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში ადვოკატებმა უნდა შეათანხმონ დაცვის პოზიცია და ტაქტიკა კლიენტთან. აღნიშნული გულისხმობს, რომ ადვოკატი კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით, სხვა პირთა დასწრების გარეშე გაესაუბროს კლიენტს, მიიღოს კლიენტისაგან ინფორმაცია და გაიგოს მისი პოზიცია. მას შემდეგ, რაც ადვოკატი მიიღებს კლიენტისაგან სათანადო ინფორმაციას, ადვოკატი აძლევს მას პროფესიულ რჩევას შემდგომი ქმედებების განხროციელების თაობაზე, რის შედეგადაც ადვოკატი და კლიენტი ერთდროულად შეიმუშავებენ დაცვის ტაქტიკას და პოზიციას, ან ადვოკატი დამოუკიდებლად შეიმუშავებს დაცვის სტარტეგიას - კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებით და სათანადო უფლებამოსილების მიღებით დაცვის ტაქტიკის განხორციელების თაობაზე.

7.15. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა იმ პირობებში მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებაში, რომ არ შეუთანხმებია კლიენტთან დაცვის პოზიცია და ტაქტიკა - არ მიუღია ადვოკატს კლიენტისაგან ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის თაობაზე. თავად ადვოკატის ახსნა-განმარტებით, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე გასაუბრებოდა მის კლიენტს, გასცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ადვოკატი არ დარწმუნდა თავისუფალი იყო თუ არა კლიენტი ნების გამოხატვაში. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეზე, ადვოკატის მიერ ფორმალური მონაწილეობით და დაცვის უფლების არასათანადო განხორციელების შედეგად შეიქმნა საპროცესო დოკუმენტი - საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, რომლის შეფასება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით მოხდება საერთო წესისი მიხედვით და წარმოადგენს მტკიცებულებას, რომლის მიხედვით კლიენტი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

7.16. ადვოკატი, დაინტერესებული არ იყო დაეცვა კლიენტის ინტერესები, რასაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის შემდეგ

ადვოკატი არ დაინტერესებულა კლიენტის მდგომარეობით სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატმა მოგვიანებით ისე გაწყვიტა კლიენტთან ურთიერთობა და სამომავლოდ მისი ინტერესების დაცვაზე განაცხადა უარი, რომ კლიენტისაგან ნებართვა არ მიუღია, ადვოკატს ინფორმაცია არ მიუწოდებია კლიენტისათვის, რომ დაცვის განხორციელებაზე უარს ამბობდა. იმ გარემოებებში, როდესაც ადვოკატმა კლიენტის დაცვა დაიწყო კანონისა და ეთიკის კოდექსის დარღვევით, მის მიერ წარმომადგენლობის შეყვეტის წესზე კომისია ცალკე აღარ იმსჯელებს, რადგან როგორც არ უნდა ემოქმედა ადვოკატს, მის მიერ განხორციელებული დაცვა ვერ იქნებოდა შესაბამისობაში ეთიკის კოდექსთან

7.17. კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ხ. ვ.-მ არ დაიცვა სათანადოდ დ. რ.-ის ინტერესები და ფორმალურად მონაწილეობდა საგამოძიებო მოქმედებაში სისხლის სამართლის საქმეზე, რითაც დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი ვალდებულება კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმოადგინა კლიენტის ინტერესები.

III სარეზოლუციო ნაწილი:

კომისიამ იხელმძღვანელა ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2, მე-8 მუხლის პირველი და მე-5 ნაწილით, „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ” დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-19 და მე-20 მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით, და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ხ. ვ.-ის მიმართ /სიითი #/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 18 (თვრამეტი) თვის ვადით.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი მხარეებს გაეგზავნოთ გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატს შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. # 32) მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე:	ეკატერინე გასიტაშვილი
კომისიის წევრი:	კობა ბოჭორიშვილი
კომისიის წევრი:	დავით კაკაბაძე
კომისიის წევრი:	კახაბერ წერეთელი
კომისიის წევრი:	მარინა კვაჭაძე
კომისიის წევრი:	ცირა შუბითიძე
კომისიის წევრი:	ირაკლი კორძახია
კომისიის წევრი:	გიორგი ბეგიაშვილი
კომისიის წევრი:	ემზარ პაქსაძე
კომისიის წევრი:	ლავრენტი ქავთარაძე

კომისიის წევრი:	გიგა კვერენჩხილაძე
კომისიის წევრი:	ზურაბ ძლიერიშვილი